16/04/2026

შემეცნებითი ხასიათის ყოველკვირეული სემინარი



მიმდინარე წლის 1 აპრილს, ბიბლეისტიკის კათედრის ორგანიზებით, ჩატარდა შემეცნებითი ხასიათის ყოველკვირეული სემინარი, რომელზეც მოხსენებით წარდგა სასულიერო სემინარის I კურსის სტუდენტი – ნიკოლოზ გოგოლაძე. მან წაიკითხა მოხსენება თემაზე: „იესო ქრისტეს გამოცდა უდაბნოში (მთ. 4.1-11/მრკ. 1.12-13/ლკ. 4.1-14 მონაკვეთების ძირითადი განმარტებანი)“ (ხელმძღვანელი: დეკანოზი გიორგი გუგუშვილი, თეოლოგიისა და ისტორიის დოქტორი, პროფესორი).

სემინარს უძღვებოდა ბიბლეისტიკის კათედრის დოქტორანტი, ახალი აღთქმის პედაგოგი – რევაზ მუჯირიშვილი.

სტუდენტმა მოიძია აღნიშნულ სახარებისეულ ეპიზოდებთან დაკავშირებული ცალკეული განმარტებანი, საგულდაგულოდ დაამუშავა ისინი და საინტერესოდ წარმოადგინა.

სემინარს ესწრებოდნენ: სასულიერო სემინარიის პედაგოგები და სტუდენტები.

მომხსენებელმა დასმულ კითხვებს დამაჯერებლად უპასუხა



tsas.ge